

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საქარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- 1) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 2) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 3) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 4) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 5) ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები;
- 6) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები; (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა, და თქვენი დაწესებულებისგან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით);
- 7) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით;
- 8) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან;

- 9) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით;
- 10) ბალანსზე რიცხული ავტომობილების ჩამონათვალი (ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის, შესყიდვის ფასის და ნარჩენი ღირებულების მითითებით. ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება);
- 11) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით);

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ დაუყოვნებლივ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი